

რეკომენდაციები აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვთა მეტყველებისა და ენის განვითარებისთვის

- აქტივობის დასრულებამდე, ეცადეთ წინასწარ გააფრთხილოთ ბავშვი- მამ: “კიდევ 5 წუთი დაგრჩა ტელევიზორის საყურებლად.” ხოლო იმ შემთხვევაში თუ ბავშვმა არ იცის დროის ცნობა, გამოიყენეთ ქვიშის საათი ან ვიზუალური მიმანიშნებლები. მამ., სტიკერები რითიც მიანიშნებთ ბავშვს აქტივობის დასრულების დროს.
- ესაუბრეთ კონკრეტული, მარტივი და გასაგები წინადადებებით და მოერიდეთ ისეთი გადატანითი მნიშვნელობის მქონე სიტყვებისა და ფრაზების გამოყენებას ყოველდღიურ საუბრებში, რომლების ბავშვისთვის უცნობია. ბავშვები ხშირად ახდენენ ნათქვამის პირდაპირი მნიშვნელობით ინტერპრეტაციას და ამიტომ ასეთი გამოთქმების სწავლება დამატებით უნდა მოხდეს.
- მოერიდეთ გრძელი, 2-3 საფეხურიანი ინსტრუქციების მიცემას. ასეთ დროს უმჯობესია ინსტრუქციები დაყოთ ნაბიჯებად, ჯერ უთხრათ ერთი ინსტრუქცია - დაელოდოთ როდის შეასრულებს და ამის შემდეგ უთხრათ - ინსტრუქციის შემდეგი საფეხურები. ეს გააუმჯობესებს გაგებას და ინსტრუქციის მიყოლას
- მიეცით კონკრეტული, დეტალური ინსტრუქციები, მაგალითად: “მიდი მამასთან და კითხე სად დადო გასაღები. შემდეგ მოდი და მითხარი.” და არა “მამას კითხე გასაღებზე.”
- ასწავლეთ როგორ შეინარჩუნოს თვალით კონტაქტი თანამოსაუბრესთან, მაგრამ ნუ მოითხოვთ ამას დაუინებით მისგან.
- თუ ბავშვი დაუყონებლივ არ რეაგირებს თქვენს მიერ მიცემულ სიტყვიერი ინსტრუქციის მიცემის შემდეგ, ნუ იჩქარებთ ნათქვამის გამეორებას ან პერეფრაზირებას. მიეცით ბავშვს დაახლოებით 8-10 წამი პასუხის გასაცემად. მას შეიძლება სჭირდებოდეს დამატებითი დრო სმენითი ინფორმაციის გადასამუშავებლად.
- ინფორმაციის მიწოდებისას, სიტყვიერი მითითების გარდა, გამოიყენეთ შესაბამისი ვიზუალური მიმანიშნებლებიც.
- მოერიდეთ ორაზროვანი პასუხების გაცემას ბავშვის შეკითხვებზე, მაგალითად “შეიძლება”, “ვნახოთ”, “სხვა დროს ნავალთ იქ” - ნაცვლად, უთხარით “დღეს, სადილის შემდეგ გავცემ პასუხს.”, “ხვალ სადილის შემდეგ ნავალთ იქ.”
- მითითებები ჩამოყალიბეთ პოზიტიური ფორმით, ანუ უთხარით ბავშვს ის, თუ რა გსურთ რომ გააკეთოს, იმის ნაცვლად, რისი გაკეთება არ შეიძლება-“ჩაალაგე შენი სათამაშოები ყუთში” და არა “არ დატოვო სათამაშოები იატაკზე.”
- სიტყვიერ მითითებას დაურთეთ არავერბალური მინიშნებებიც, მაგალითად ფრაზას “მოდი, დალიე ჩაი”, შეიძლება თან ახლდეს ჭიქაზე მითითება ან/და ჭიქიდან დაღვინს ქცევის მოდელირება.
- თუ ბავშვი მეტყველებს, სთხოვეთ თქვენი ნათქვამის გამეორება, რათა დარწმუნდეთ ნათქვამის სწორად გაგებაში.
- გამოიყენეთ კონკრეტული მითითებები, შეკითხვების ნაცვლად, მაგალითად: “მითხარი ცხოველის სახელი, რომელიც გვაძლევს რძეს” და არა “რა გვაძლევს რძეს?”
- გამოიყენეთ სპეციფიური შეკითხვები, ზოგადი, ღია კითხვების ნაცვლად, მაგალითად, “რა მოხდა დღეს მათემატიკის გაკვეთილზე?” და არა “როგორი დღე გქონდა სკოლაში?”
- თუ ბავშვი არ მეტყველებს, გამოიყენეთ კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები და დაეუფლეთ თავდაც მათ გამოყენებას, მაგ: ჟესტური ენა, საკომუნიკაციო ბარათები, სხვადასხვა ელექტრონული მონწყობილობები.
- მიმართეთ ბავშვს სახელით, როცა გსურთ მისი ყურადღების მიპყრობა.

